

ნათია აბრამია

კანდიდატის მთავარი ღირებულებაა დამოუკიდებელი მედიის და სარედაქციო პრინციპების ერთგულება. რასაც ემატება: ექვსწლიანი გამოცდილება ბი-ბი-სიზე. წარმატებული კარიერა საქართველოს ტელევიზიაში საბაზისო პოზიციიდან მსოფლიოს ყველაზე მაღალი სტანდარტების მქონე საზოგადოებრივ მაუწყებლის ნიუსრუმის პროდიუსერობამდე; მედიის თანამედროვე ტენდენციების და ტელერადიო-ონლაინ პლატფორმების პრაქტიკული ცოდნა; ქართული მედიის პრობლემების და ქვეყანაში არსებული რეალობის ცოდნა; საქართველოში მედიის გაძლიერების პროცესში ჩაბმის სურვილი და პოტენციალი.

სამუშაო გამოცდილება

2007- დღემდე

ბი-ბი-სი - მსოფლიო ახალი ამბების პროდიუსერი - ლონდონი, დიდი ბრიტანეთი
სხვადასხვა ეტაპზე ბი-ბი-სის რუსულ და ინგლისურენოვანი მსოფლიო ახალი ამბების სამსახურის: მკვლევარი, პირდაპირი ეთერის გამშვები, პროდიუსერი, რედაქტორი, საიტის მენეჯერი, დაგეგმარების კოორდინატორი. ამჟამად ყოველდღიური და ყოველკვირეული გადაცემების, ანალიტიკური შოუების და სპეც.პროექტების ჟურნალისტი.

2004 – 2009 - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მოწვეული ლექტორი

მედიამენეჯერებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებისთვის სპეც.კურსის კოორდინატორი, ასევე ტრენერი მედიის მენეჯმენტსა და ნიუსრუმის მართვაში. კითხულობდა ლექციებს ქართულ და ინგლისურ ენებზე შემდეგ საგნებში: ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი, სატელევიზიო პროდაქშენის საფუძვლები, რადიო პროდაქშენი, ომების და კონფლიქტების გაშუქება, მულტიპლატფორმული ნიუსრუმის მართვა.

2006 – 2007 – “ფრონტლაინ კლუბის” პროექტის მენეჯერი - ლონდონი, დიდი ბრიტანეთი

ჟურნალისტიკის სტუდენტების შეხვედრების ორგანიზება მედიამკვლევარებთან, ომის კორესპონდენტებთან და ცნობილ ტელეწამყვანებთან ჟურნალისტური ეთიკის საკითხების განხილვის მიზნით.

2003 – 2005 - სამაუწყებლო კომპანია რუსთავი2-ის ჟურნალისტი

სხვადასხვა ეტაპზე იყო: საერთაშორისო ახალი ამბების პროდიუსერი, ნაციონალური ახალი ამბების კორესპონდენტი, დილის გადაცემის წამყვანი, ტოკ შოუ „დამის კურიერი“-ს თანაწამყვანი, გასართობი შოუ „ხალხის პირისპირ“-ის წამყვანი; კოსოვოს, ქაშმირისა და ტიბეტის კონფლიქტებისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმების ავტორი.

1998 – 2000 - ტელეკომპანია „იბერია“-ს კორესპონდენტი

სიუჟეტების მომზადება საერთაშორისო და ნაციონალური ახალი ამბების შესახებ.

1994 - ტელეკომპანია „იბერვიზიის“ კორესპონდენტი
ნაციონალური ახალი ამბების გაშუქება.

1997-1998 - პირველი არხი
გადაცემების - „ტელეკატალოგი“ და „დღე“ - წამყვანი და თანაწამყვანი

1988 - 1989 - პირველი არხი
საყმაწვილო და გასართობი პროგრამების - „თვალსაწიერი“ და „Hey You!“ -
წამყვანი

ჩატარებული ტრენინგები

2011 – 2012 - სოროსის ფონდი - მოწვეული კონსულტანტი
რეგიონულ რადიოსადგურებში - „ჰერეთი“, „ათინათი“ და „მველი ქალაქი“ -
ნიუსრუმის ოპტიმალური მართვის ტრენერი

მაისი 2012 - რადიო „ცხელი შოკოლადი“
კონსულტანტი ნიუსრუმის მართვის და ახალი პროექტების ჩაშვების საკითხებში

მაისი 2005 - მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი და ინტერნიუს სომხეთი
ტრენერი უმცირესობების საკითხების გაშუქებაში

პრაქტიკა

ივნისი 2003
ბი-ბი-სის საპარლამენტო არხი - უელსის ნაციონალური ასამბლეის სხდომების
ტრანსლირების ბიურო

ივლისი 2003
Channel Four - კარდიფის ბიურო - ახალი მედიის დეპარტამენტი

განათლება

2002-2003
უელსის უნივერსიტეტის - კარდიფის ჟურნალისტიკის სკოლის მაგისტრი -
სპეციალობა: საერთაშორისო მედია და კონფლიქტების გაშუქება

1994 – 1998
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საერთაშორისო ჟურნალისტიკის
ბაკალავრი

1996 – 2000
ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი - ინგლისური ენისა და
ლიტერატურის ბაკალავრი

1999-2001
გოეთეს ინსტიტუტი - გერმანული, როგორც უცხო ენა

ტრენინგები

2012

ახალი ტექნოლოგიები და შერწყმული ნიუსრუმის მართვა (multi platform production and convergency) - ბი-ბი-სი, ნიუ ბროდქასთინგ ჰაუსი

2008

ტელე და რადიო ნიუსრუმის მართვა ბი-ბი-სის ჟურნალისტებისთვის, ბი-ბი-სი ბუშჰაუსი

2006

ტრენინგი ჟურნალისტიკის ტრენერებისთვის - მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი და მედია უაის ტრასტი (Media Diversity Institute and Media Wise Trust) - ლონდონი, დიდი ბრიტანეთი

2003

მედიაპროდუქციის წარმოება და დოკუმენტური პროგრამების პროდაქშენი - ტომსონ ფაუნდეიშენი და ბი-ბი-სი უელსი - კარდიფი, დიდი ბრიტანეთი

1999

ახალი ამბების წარმოება - ტომსონ ფაუნდეიშენი და ინტერნიუს საქართველო

პუბლიკაციები

2012

Culture Smart Georgia By Natia Abramia – KUPERARD/Random House
ნათია აბრამიას მიერ დაწერილი ინგლისურენოვანი გზამკვლევის მიზანია უცხოელებისთვის ქართული კულტურის ახსნა

2004

ნათია აბრამიას სტატია „მედია და პროპაგანდა“ შევიდა ჯიპას მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში კომუნიკაციების სპეციალისტებისთვის

ენები

ქართული - მშობლიური;
ინგლისური - სრულყოფილი;
რუსული - სრულყოფილი;
გერმანული - კარგად;
ფრანგული - დამწყები.

რეკომენდაციები

მაიკლ დელაჰეი - მედია მენეჯმენტის კონსულტანტი

წლების განმავლობაში ბი-ბი-სის რედაქტორი და თოქშოუს წამყვანი, ინტერნიუს საქართველოს ტრენერი მედიის მენეჯმენტის საკითხებში, ამჟამად ტომსონ ფაუნდეიშენისა და ტელეკომპანია „ალ ჯაზირას“ მენეჯმენტის კონსულტანტი.

მაია მიქაშავიძე - 2000-2011 წლებში საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჟურნალისტიკის და მედია მენეჯმენტის ფაკულტეტის დეკანი, ჯიპას ასოცირებული პროფესორი. ამჟამად სამხრეთ კაროლინას უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის პროგრამის დოქტორანტი.

ხედვა

მინდა ჩემი ცოდნა მოვახმარო საქართველოში საზოგადოებრივი მაუწყებლის გაძლიერებას. მაქვს ქართულ სატელევიზიო არხებზე და საერთაშორისო მედიაში მუშაობის გამოცდილება. ასევე ჟურნალისტიკის და მედია მენეჯმენტის სიღრმისეული ცოდნა. ჩემი კარიერა ტელევიზიის პირველ არხზე დავიწყე და შემდეგ ტელევიზიაში მუშაობის ყველა ეტაპი გავიარე. ვამაყობ, რომ ამჟამად ვარ მსოფლიოს საუკეთესო საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერი, ვმუშაობ ტელე-რადიო-ონლაინ პლატფორმებზე.

ბი-ბი-სი მუდმივ რეფორმირებას განიცდის და ამ წლების განმავლობაში საშუალება მქონდა მენახა გადაცემებისა თუ დეპარტამენტების ჩამოყალიბების, გარდაქმნის, შემცირებისა თუ შერწყმის პროცესი. საინტერესო ტრენინგებმა, ლექციებმა და გამოცდილ კოლეგებთან ურთიერთობამ, საშუალება მომცა გავიაზრო თუ რას უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივი მაუწყებელი.

მჯერა, რომ სწორი მენეჯმენტისა და დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის შემთხვევაში, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი გახდება საზოგადოების ინტერესების ამსახველი, დამოკიდებული, ხელისუფლებისგან დისტანცირებული, პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან თავისუფალი, წარმატებული, მიუკერძოებელი, მრავალრფეროვანი, საინტერესო და სანდო მედიასაშუალება.